კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

შპს იფელი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება**

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. კომპანია ხარჯად აღიარებს ისეთ გაუფასურებულ მოთხოვნებს, რომელზეც მომავალში აღარ ელოდება ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

**უცხოური ვალუტის ოპერაციები**

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

**ვალუტის გაცვლითი კურსი**

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                   | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|-------------------|-------------------|-------------------|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.7020            | 3.0976            |
| ლარი/1 ევრო       | 2.8844            | 3.5040            |

**ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება მისი რეალური ღირებულებით, შემცირებული უიმედო მოთხოვნების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

## სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვადი მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არ არის არა ბრუნვადი მარაგები.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთები მოიცავს როგორც წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს ასევე სხვა ტიპის სასაქონლო მატერიალურ მარაგებს რომლის გამოყენების პერიოდიც არის ერთ წელზე ნაკლები და რომელიც საჭიროა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში.

## მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლო გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

## ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებულ ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს იფქლი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## პერიოდის ცვლის ხარჯი

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას არ ერიცხება ცვლათა და ამორტიზაცია. სხვა დანარჩენი ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

|                            |           |
|----------------------------|-----------|
| • შენობები და ნაგებობები   | 5-20 წელი |
| • მანქანა-დანადგარები      | 5-12 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა       | 5 წელი    |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 5 წელი    |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი    |
| • სხვა ძირ. საშუალებები    | 5 წელი    |

## არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

## საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და შენობები, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად ან ორივე ერთად და არ არის დაკავებული მის მიერ.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულების მოდელით და არ ხდება შემდგომ მისი შეფასება რეალური ღირებულებით, რადგან რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე.

საიჯარო შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებად.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავეს მფლობელი, მისი რეკლასიფიცირება ხდება ძირითად საშუალებად, ხოლო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება რეკლასიფიცირების თარიღში მისი ღირებულების შესაბამისად.

## გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეუძლებელია არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

## სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვალიანობის მიხედვით. არსებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ვალიან სესხს, რომელიც დაიფარა ბალანსის შემდგომ პერიოდში.

შპს იფელი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

## ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

## შემოსავალი რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

- (ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
- (ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

## თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. პერიოდის თვითღირებულების ხარჯად ჩამოწერილია იმ მარაგების შესაბამისი ღირებულება, რომლის რეალიზაციაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში.

## ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდინარე წელს.

მიწოდების ხარჯები მოიცავს რეკლამის, ტრანსპორტირების და დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასის ხარჯებს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

შპს იფელი  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

#### შენიშვნა 3 - შემოსავალი მომსახურებიდან

|                                        | 2022              | 2021              |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან               | 86,616,388        | 61,814,174        |
| ფასდამთმობა და საქონლის უკან დაბრუნება | (3,994,752)       | (2,716,416)       |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები            | 406,249           | 1,386,382         |
| <b>სულ შემოსავალი მომსახურებიდან</b>   | <b>83,027,885</b> | <b>60,484,140</b> |

#### შენიშვნა 4 - თვითღირებულების ხარჯი

|                                    | 2022              | 2021              |
|------------------------------------|-------------------|-------------------|
| მატერიალური დანახარჯები            | 46,241,024        | 33,387,707        |
| ზედნაღები დანახარჯები              | 3,537,733         | 2,687,174         |
| შრომის ანაზღაურება                 | 5,237,460         | 4,173,441         |
| პროდუქციის დაბრუნება               | (1,807,517)       | (1,242,323)       |
| <b>სულ თვითღირებულების ხარჯები</b> | <b>53,208,700</b> | <b>39,005,999</b> |

#### შენიშვნა 5 - მიწოდების ხარჯები

|                              | 2022              | 2021              |
|------------------------------|-------------------|-------------------|
| რეკლამის ხარჯი               | 3,825,972         | 2,624,387         |
| ტრანსპორტირების ხარჯი        | 2,319,301         | 2,034,751         |
| შრომის ანაზღაურება           | 6,253,010         | 5,993,486         |
| <b>სულ მიწოდების ხარჯები</b> | <b>12,398,283</b> | <b>10,652,624</b> |

შპს იფელი  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**შენიშვნა 6 - საოპერაციო ხარჯები**

|                                       | 2022             | 2021             |
|---------------------------------------|------------------|------------------|
| საკანცელარიო ხარჯი                    | 24,639           | 15,055           |
| კომპიუტერის ხარჯები                   | 28,528           | 2,646            |
| სამეურნეო ხარჯები                     | 212,612          | 159,653          |
| ძირ.საშუალებების რემონტის ხარჯები     | 1,680,035        | 1,336,826        |
| დაზღვევის ხარჯები                     | 168,247          | 134,523          |
| ტექნიკური და შრ. უსაფრთხოების ხარჯები | -                | 4,098            |
| ბანკის მომსახურება                    | 9,101            | 15,965           |
| საპენსიო ხარჯი                        | 245,118          | 203,073          |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                 | 967,872          | 330,135          |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>         | <b>3,336,151</b> | <b>2,201,974</b> |

**შენიშვნა 7 - არასაოპერაციო შემოსავლები (წმინდა)**

|                                           | 2022             | 2021             |
|-------------------------------------------|------------------|------------------|
| ფინანსური შემოსავლები                     | 434,801          | 326,570          |
| შემოსავალი იჯარიდან                       | 1,112,189        | 1,192,319        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი             | 1,000,375        | 1,688,277        |
| ფინანსური ხარჯები                         | (399,557)        | (445,998)        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                | 42,614           | (136,767)        |
| <b>სულ საოპერაციო შემოსავალი (წმინდა)</b> | <b>2,190,422</b> | <b>2,624,401</b> |

შპს იფელი  
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები**

|                            | მიწა             | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა -<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სხვა ძირ.<br>საშუალებები | სულ<br>ძირითადი<br>საშუალებები |
|----------------------------|------------------|-----------------------------|-----------------------|--------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------------|--------------------------|--------------------------------|
| <b>საწყისი ღირებულება</b>  |                  |                             |                       |                          |                       |                               |                             |                          |                                |
| ბალანსი 31/12/2020         | -                | 401,382                     | 2,735,037             | 5,641,824                | 28,918                | 26,190                        | 1,605,748                   | 197,971                  | <b>10,637,070</b>              |
| დანამატები                 | 259,896          | 2,227,131                   | 2,604,123             | 3,812,729                | 55,163                | 30,773                        | 1,254,354                   | 257,953                  | <b>10,502,123</b>              |
| აქტივების ჩამოწერა         | -                | (2,351,811)                 | (466)                 | (38,849)                 | (1,242)               | -                             | (404,702)                   | (254)                    | <b>(2,797,324)</b>             |
| ცვეთა პერიოდისათვის        | -                | -                           | (233,424)             | (1,609,273)              | (10,673)              | (9,780)                       | (420,638)                   | (72,954)                 | <b>(2,356,743)</b>             |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -                | -                           | -                     | 32,310                   | -                     | -                             | 256,947                     | 162                      | <b>289,419</b>                 |
| ბალანსი 31/12/2021         | 259,896          | 276,702                     | 5,105,269             | 7,838,741                | 72,167                | 47,183                        | 2,291,708                   | 382,878                  | <b>16,274,545</b>              |
| დანამატები                 | 2,683,035        | 485,706                     | 22,697                | 354,990                  | 106,280               | 11,827                        | 893,626                     | 57,658                   | <b>4,615,820</b>               |
| აქტივების ჩამოწერა         | -                | -                           | -                     | -                        | -                     | (308)                         | (213,123)                   | (7,842)                  | <b>(221,274)</b>               |
| ცვეთა პერიოდისათვის        | -                | -                           | (388,058)             | (3,068,248)              | (35,397)              | (23,164)                      | (763,321)                   | (140,317)                | <b>(4,418,505)</b>             |
| ჩამოწერილი აქტივების ცვეთა | -                | -                           | -                     | -                        | -                     | -                             | 111,248                     | 5,676                    | <b>116,924</b>                 |
| ბალანსი 31/12/2022         | 2,942,931        | 762,409                     | 4,739,909             | 5,125,483                | 143,051               | 35,538                        | 2,320,137                   | 298,053                  | <b>16,367,510</b>              |
| <b>ბალანსი 31/12/2021</b>  | <b>259,896</b>   | <b>276,702</b>              | <b>5,105,269</b>      | <b>7,838,741</b>         | <b>72,167</b>         | <b>47,183</b>                 | <b>2,291,708</b>            | <b>382,878</b>           | <b>16,274,545</b>              |
| <b>ბალანსი 31/12/2022</b>  | <b>2,942,931</b> | <b>762,409</b>              | <b>4,739,909</b>      | <b>5,125,483</b>         | <b>143,051</b>        | <b>35,538</b>                 | <b>2,320,137</b>            | <b>298,053</b>           | <b>16,367,510</b>              |

შპს იფელი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

#### შენიშვნა 9 - საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს კომპანიის ბალანსზე არსებულ მიწებს და შენობა ნაგებობებს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით და მისი გაუფასურების მნიშვნელოვანი კომპონენტები იდენტიფიცირებული არ არის.

|                                                             | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|-------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>1 იანვარი</b>                                            | <b>6,103,795</b> | <b>6,363,691</b> |
| ცვეთა                                                       | (73,947)         | (259,896)        |
| შემოსვლა                                                    | -                | -                |
| გასვლა                                                      | -                | -                |
| რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება ან (ზარალი) | -                | -                |
| <b>31 დეკემბერი</b>                                         | <b>6,029,848</b> | <b>6,103,795</b> |

#### შენიშვნა 10 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

|                                | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|--------------------------------|------------------|------------------|
| საქონელი                       | 16,898           | 18,306           |
| ნედლეული და მასალები           | 1,321,845        | 958,746          |
| სხვა მარაგები                  | 988,669          | 874,372          |
| მცირეფასიანი საწარმოო მარაგები | 645,565          | 619,211          |
| <b>სულ მარაგები</b>            | <b>2,972,977</b> | <b>2,470,635</b> |

#### შენიშვნა 11 - მიმდინარე მოთხოვნები

|                                 | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები              | 5,138,334        | 3,870,845        |
| გადახდილი ავანსები              | 4,268,570        | 113,347          |
| სხვა მოთხოვნები                 | 25,167           | 2,058            |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b> | <b>9,432,071</b> | <b>3,986,250</b> |

#### შენიშვნა 12 - ფული და ფულადი ექვივალენტები

|                                         | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|-----------------------------------------|------------------|------------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე                | 5,082,884        | 6,050,694        |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე      | 434,226          | 18               |
| ნაღდი ფული სალაროში                     | 2,365            | 154,617          |
| <b>ჯამურად ნაღდი ფული სალაროში</b>      | <b>2,365</b>     | <b>154,617</b>   |
| <b>სულ ფული და ფულადი ექვივალენტები</b> | <b>5,519,475</b> | <b>6,205,329</b> |

შპს იფელი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

#### შენიშვნა 13 - მიმდინარე სასესო ვალდებულებები

|                                           | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|-------------------------------------------|------------------|------------------|
| გრძელვადიანი სესხები                      | -                | 2,354,653        |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი      | 2,354,653        | -                |
| გადასახდელი პროცენტები                    | -                | -                |
|                                           | <b>2,354,653</b> | <b>2,354,653</b> |
| ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები | 2,354,653        | 2,354,653        |
| დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები  | -                | -                |
| <b>სულ მიმდინარე სასესო ვალდებულებები</b> | <b>2,354,653</b> | <b>2,354,653</b> |

#### შენიშვნა 14 - მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

|                                                         | 31.12.2022       | 31.12.2021       |
|---------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>მიმდინარე ნაწილი</b>                                 |                  |                  |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 1,149,310        | 539,418          |
| მიღებული ავანსები                                       | 13,062           | 72,808           |
| გადასახდელი ხელფასები                                   | 999,207          | 780,393          |
| <b>გრძელვადიანი ნაწილი</b>                              |                  |                  |
| გრძელვადიანი გაუცემელი სახელფასო ვალდებულება            | 223,150          | 214,750          |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>                | <b>2,384,729</b> | <b>1,607,369</b> |

### 15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

#### სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

#### გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

### 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

შპს იფელი  
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

2022 და 2021 წლებში დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სახელფასო ფონდი შეადგენდა 165,200 და 137,500 ლარს სხვა სახის ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არ არის იდენტიფიცირებული.

## 17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიამ სრულად დაფარა სასესხო ვალდებულებები. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები რომელიც საჭიროებს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებას იდენტიფიცირებული არ არის.

## შპს „იფელი“

### მმართველობითი ანგარიშგება

#### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

1.1. კომპანია დაფუძნებულია 2006 წელს ფიზიკური პირის ვასილ ბაკურაძის 100-იანი წილობრივი მონაწილეობით, შპს „ქართოს“ სახელწოდებით. 2013 წლის აპრილში განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაცია, მასთან შპს „იფელის“ შერწყმის (მიერთების) გზით, საანგარიშგებო პერიოდში კომპანია ფუნქციონირებდა შპს „იფელის“ სახელწოდებით (ს.კ. 200179118). კომპანიის პარტნიორები არიან: შაქრო ბაკურაძე, წილი კაპიტალში - 40%, ვასილ ბაკურაძე - 30% და ბაქარ ბაკურაძე - 30%.

1.2. კომპანია რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 24 თებერვალს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 3365/001-შპს

1.3. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ე. ხარაძის 2ა.

1.4. კომპანიის ფილიალი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში. მისამართი: ნიკეას 19, ნაკვეთი 3.

#### 2. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

2.1. სამეწარმეო რეესტრში ბიზნესოპერატორად რეგისტრირებულია შპს „იფელის“ საქმიანობის შემდეგი სახეები:

- ◆ ფქვილი და ფქვილოვანი პროდუქცია
- ◆ კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი
- ◆ მზა კერძები, კულინარიული ნაწარმი
- ◆ საკონდიტრო ნაწარმი
- ◆ წარმოება
- ◆ გადამუშავება
- ◆ შეფუთვა ან დაფასოება
- ◆ სადისტრიბუციო ქსელი
- ◆ საწყობი სათავსო და სხვა
- ◆ საცალო ვაჭრობა

2.2. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის ძირითადი საქმიანობა იყო პურ-პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია

2.3. სწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- ◆ ადმინისტრაციის აპარატი;
- ◆ პურ-პროდუქტების საწარმო;
- ◆ ფუნთუშეულისა და საკონდიტრო წარმოების საამქრო;
- ◆ სადისტრიბუციო სამსახური;
- ◆ ხარისხის მართვის ლაბორატორია;
- ◆ მზა პროდუქციის შეფუთვისა და გაცემის უბანი;
- ◆ ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის განყოფილება;
- ◆ ტექნიკური განყოფილება;
- ◆ სასაწყობო მეურნეობა.

#### 2.4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ:

ქალაქ ქუთაისში მდებარე ფილიალი ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წელს და მისი მიზანი იყო დასავლეთ საქართველოს დიდი ქალაქების პურ-ფუნთუშეულით მომარაგება. აქ მაქსიმალური დატვირთვით ფუნქციონირებს 2 ერთეული გვირაბის ტიპის ლუმელი და, მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, გეგმაშია კიდევ ერთი ცხოზის ხაზის დამატება, რათა სრულად დაკმაყოფილდეს არსებული მოთხოვნა.

### 3. ბიზნეს გარემო და რისკების მიმოხილვა:

**3.1** კომპანიის პროდუქცია იყიდება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და რეგიონში: თბილისი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, აჭარა, რაჭა, იმერეთი, ზემო იმერეთი, სამეგრელო, კახეთი, გურია და სვანეთი.

გასული წელი კომპანიისთვის წარმოადგენდა ახალ ბაზარზე შესვლის წელს. ჩვენ დავიმატეთ ახალი რეგიონები, -- ესენია: ქვემო ქართლი, რაჭა, ზემო იმერეთი, ასევე მოხდა ცაგერსა და ლენტეხში პროდუქციის მიწოდება და კახეთის სრულად ათვისება.

მიუხედავად ბაზარზე დიდი კონკურენციის კომპანია ცდილობს, რომ სათანადო უპასუხოს აღნიშნულ გამოწვევას, რასაც განაპირობებს დისტრიბუციისა და პროდუქციის მაღალი ხარისხი და ასევე აქტიური მარკეტინგული ღონისძიებები სხვადასხვა ქსელურ ობიექტებში.

გასულ წელს კომპანიაში ასევე განხორციელდა საკმაოდ მსხვილი ინვესტიცია დასავლეთ საქართველოში, შეიქმნა ახალი სიმძლავრე (ქარხანა) ქ. ქუთაისში, საიდანაც ხდება დასავლეთ საქართველოს ბაზრის მომარაგება.

როგორც გასულ წელს ასევე წელსაც, კომპანია არ უხვევს თავის სტრატეგიას და ცდილობს ისეთი საწარმოო ხაზების შექმნას, რომელიც მეტწილად ავტომატიზირებულია და იძლევა საშუალებას მაღალხარისხიანი პროდუქცია აწარმოოს.

რაც შეეხება გამოწვევებს, -- შიდა ბაზრისთვის ისევ გამოწვევად რჩება ფქვილის ფასი, რომელიც არასტაბილურობით გამოირჩევა. მეტ - ნაკლებად სტაბილური იყო გასულ წელს სავალუტო კურსების ცვლილება, რაც ბიზნესისათვის ზოგადად ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ის შესაფუთი მასალები რომესაც კომპანია იყენებს წარმოების პროცესში, თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია კურსის დევალვაციაზე, ასევე სწორედ კურსია გადამწყვეტი იმ ძირითადი საშუალებების შესყიდვისას, რომელიც მუდმივ პროცესს წარმოადგენს კომპანიის განვითარებისათვის (გადაიარაღება, ახალი დანადგარებისა თუ ნაწილების შესყიდვა / მონტაჟი, ახალი ხაზებისა და ტექნოლოგიების დანერგვა).

ნედლეულის ნაწილში (ფქვილი), რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს ფასწარმოქმნაში დამოკიდებულია მეზობელ ქვეყნებზე, რაც ასევე ქმნის არასტაბილურობის განცდას. ასევე გასული წლის გამოწვევა იყო და ისევ რჩება თანამშრომელთა ხელფასების მუდმივი მზარდი ტენდენცია (საშუალო ხელფასი კომპანიაში 20 – 25 % - ით უკვე არის გაზრდილი და ეს პროცესი ისევ გრძელდება). დანახარჯების ზრდის ნაწილში არასტაბილურია ასევე საწვავის ფასები, რაც ასევე ძალიან დიდ როლს თამაშობს პროდუქციის ფასწარმოქმნის პოცესში.

კომპანიისათვის ახალი გამოწვევაა სხვადასხვა სტანდარტების (ჰასპის სტანდარტი) დანერგვა, რომელიც ასევე დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

ერთის მხრივ დანახარჯების ზრდა (ნედლეული, ხელფასი, საწვავი), ხოლო მეორეს მხრივ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამო პურ პროდუქტებზე ფასების გაზრდის შესლუდვა, სამწუხაროდ ვერ უზრუნველყოფს რენტაბელობის ისეთ დონეს, რაც უფრო მეტ საშუალებას მისცემს დარგის საწარმოებს შექმნან რეინვესტირებისათვის აუცილებელი ფინანსური ბაზა, აღნიშნული ფაქტორები და გარემოება კი ზრდის პურ - პროდუქტების ბიზნესის რისკებსა და სტაბილურობას.

**3.2** ზემოთ აღნიშნული რისკების თავიდან აცილების ან/და შერბილების მიზნით, კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ყოველთვის ანხორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, - კერძოდ:

- თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლა და დანერგვა საწარმოში, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის სტაბილურობას, ენერგო მოხმარების ეკონომიურობასა და ეფექტურობას;
- ახალი სახეობის (ასორტიმენტი) პურ პროდუქტების დანერგვას წარმოებაში, როგორც საკონდიტრო ისე პრემიუმ ხარისხის პურის მიმართულებით;
- მიწოდების არეალის (დისტრიბუციის) კიდევ უფრო გაფართოება;

#### **4. პროდუქციის ხარისხი**

**4.1.** პურ-პროდუქტების ხარისხი მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ნედლეულისა და მასალების ხარისხზე, ამ პრობლემის გადასაწყვეტად საწარმოში ფუნქციონირებს ხარისხის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო თანამედროვე ხელსაწყოებით. საწარმოში ფქვილის ყოველი პარტიის მიღებისას ხდება მისი ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის კონტროლი, მოწმდება სხვა ინგრედიენტების ხარისხი, დაწესდა მონიტორინგი ტექნოლოგიური პროცესების დაცვაზე და სხვა.

**4.2.** კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კვების პროდუქტების უვნებლობის მოთხოვნების შესრულებას:

- სპეციალური სითხით ყოველდღიურად მუშავდება პურის სადისტრიბუციო ავტომატის ძარა და პურის კონტეინერები;

- კომპანიის გეგმა იყო, რომ მზა პროდუქცია შეუფუთავი სახით აღარ გასულიყო გაყიდვაში. დღეისათვის, მზა პროდუქციის უკვე 95% იფუთება ქაღალდის ან/და პოლიეთილენის შეფუთვებში და ისე გადის სადისტრიბუციო ქსელში.

#### **5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:**

**5.1.** კომპანიაში ტარდება კვლევები ახალი სახეობების პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით. ძირითადად საკონდიტრო მიმართულებით და ასევე, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პრემიუმ ხარისხის პურ-პროდუქტების ახალი სახეობების შესაქმნელად.

#### **6. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის სრულყოფა:**

**6.1.** საწარმო დიდ ყურადღებას უთმობს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფას, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა.

**6.2.** კომპანიამ მოახდინა თანამშრომლის გადამზადება საბაჟოსთან ურთიერთობის საკითხებში, რათა შუფერხებლად მოახდინოს საქონლის და დანადგარების იმპორტი სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე კომპანია ზრუნავს ფინანსური განყოფილების გადამზადებაზე და კვალიფიკაციის და ცოდნის ამაღლებაზე სხვადასხვა ტრენინგების დაგეგმვითა და ჩატარებით.

**6.3.** სისტემატურად წარმოებს ბუღალტრული პროგრამა ინფოს განახლება და სხვადასხვა მოდულების დანერგვა, რათა მოხდეს პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია;

**6.4.** ტარდება პროცესები შიდა კონტროლის სრულყოფისთვის;

#### **7. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან:**

**7.1.** საწარმოს მწიდრო ტექნიკური თანამშრომლობის კავშირი აქვს სლოვენიის, ჩეხეთისა და თურქეთის კომპანიებთან. საწარმოს შესყიდული აქვს კომპანია “GOSTOL GOPAN”-ის (სლოვენია) და “J4 S.R.O”-პურ-პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობები, რაც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და სრულად აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს.

**7.2.** საწარმოს კოოპერირების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ესპანეთის, გერმანიის, თურქეთის ფირმებთან.

**7.3.** ტექნიკური მიმართულებით, საწარმო აქტიურად თანამშრომლობს თურქეთში, იტალიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში არსებულ კომპანიებთან. ახალი დანადგარების ძირითადი ნაწილი არის თურქული, “KUMKAYA”-ს მიერ წარმოებული. პროდუქციის შესაფუთი დანადგარები არის იტალიური, “IPS”-ს მიერ წარმოებული და სრულად აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს.

კომპანია აგრძელებს კომერციული ურთიერთობების გაფართოებას სხვა ევროპულ კომპანიებთანაც.

## **8. გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მდგომარეობა:**

**8.1.** საწარმო ახორციელებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს და აკმაყოფილებს გარემოს დაცვის სტანდარტებს. კერძოდ:

- ახალი თაობის პურის საცხობი ღუმელების ნამწვში შემცირებულია ნახშირჟანგის (CO) კონცენტრაცია;
- წარმოების პროცესში სპირიტული დუდილის შედეგად გამოიყოფა მავნე აირები, რომელთა ოდენობა სტანდარტიტ გათვალისწინებული ნორმის ქვემოტ მიღწეულია ახალი ავტომატური ხაზის პირობებში;
- ზოგადად პურის წარმოების პროცესში პრობლემატურია ჰაერის დამტვერიანება ფქვილის გაფრქვევის შედეგად. შპს „იფქლში“ ასეთი პრობლემა მოხსნილია, რადგანაც ფქვილის მიწოდება ხდება სპეციალური ფქვილის გადამტანი მილის (შნეკის) საშუალებით, რაც გამორიცხავს ატმოსფერული ჰაერის დამტვერიანებას.

**8.2.** საწარმო ახორციელებს უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის ღონისძიებებს. კერძოდ:

- პურის წარმოების ავტომატური ხაზი, გამორიცხავს ოპერატორის კონტაქტს საფრთხის შემცველ მოწყობილობებთან, მუშაობის პროცესში. მიუხედავად აღნიშნულისა განისაზღვრა და გადამზადდა პასუხისმგებელი პირები და მიეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

**8.3.** გატარდა ორგანიზაციულ ტექნიკური ღონისძიებები ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნათა უზრუნველყოფისთვის, დაინიშნა ტექნიკური უსაფრთხოების მონიტორინგის განმახორციელებელი პირები.

**8.4.** საწარმოს მუშაკები უზრუნველყოფილია სპეცტანსაცმლით.

**8.5.** შექმნილია ნორმალური სამუსაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ ინჟინერ-ტექნიკური და ეკონომიკური პერსონალისთვისაც.

**8.6.** კომპანია 2021 წლიდან, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, თანამშრომლობს ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელიც რეგულარულად ახორციელებს ვიზიტებს სუბიექტის საკუთრებაში არსებულ ორივე საწარმოში, აფასებს რისკებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტს და გასცემს მითითებებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, კომპანია აქტიურად ემზადება საწარმოებში HACCP-ის სტანდარტის დაგეგმვისთვის. აქტიური კომუნიკაცია აქვს ამ პროფილით მომუშავე კომპანიებთან და გეგმაშია ერთ-ერთ მათგანთან ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, იგეგმება კადრების გადამზადება, რომლებიც იმუშავენ ალნიშნული მიმართულებით.

აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ასევე შრომითი უფლებების დაცვის კუთხით. იგეგმება საწარმოების ტექნიკურად აღჭურვა თანამშრომელთა ნამუშევარი დროის აღრიცხვის მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზეგანაკვეთური მუშაობის ფაქტები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ასეთ ფაქტს, დასაქმებულებს კანონით დადგენილი წესის მიხედვით აუნაზღაურდეთ ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათები.

## **9. სოციალური პროექტები:**

**9.1.** საწარმო ასევე მონაწილეობს სხვა სოციალურ ღონისძიებებშიც:

**9.2.** გატარდა ორგანიზაციული ღონისძიებები 2019 წლის იანვრიდან დაგროვებითი საპენსიო ფონდის პროგრამაში შეუფერხებელი მონაწილეობისთვის, დაინიშნა რწმუნებული რომელმაც გაიარა ტრენინგი

## 10. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა

კომპანიის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

- განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები. რომელიც მოითხოვს ბიზნეს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაზოგებს. ამ რისკების სამართავად კომპანია იყენებს, როგორც შიდა დაქირავებულ რესურსს, ისე დაქირავებული ჰყავს გარე კონსულტანტები და მათთან ერთად ხდება მოსალოდნელი რისკების შეფასება და გათვალისწინება.
- ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვან წილს შეადგენს იმპორტირებული პროდუქცია და ისინი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში, ხოლო კომპანიის შემოსავლები ლარში. ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 10 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

შპს „იფელი“-ს (ს.კ. 200179118) დირექტორი:

არისი ბოჭოიძე